



## საგადასახადო სიახლოები

სექტემბერი-ოქტომბერი, 2023

# დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები

## ლატარიიდან მიღებული მოგების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან N2436

### ფაქტობრივი გარემოებები

- მიმდინარე წლის მარტის თვეში გათამაშებულ ლატარიაში მომგებიანი აღმოჩნდა სამი ბილეთი, ხოლო მოგებულმა თანხამ შეადგინა: I - 500 ლარი, II- 700 ლარი და III- 1300 ლარი;
- საწარმომ, რომელმაც მოაწყო გათამაშება (ლატარია), გამარჯვებულ ფიზიკურ პირზე გადახდის წყაროსთან დააკავა საშემოსავლო გადასახადი 1300 ლარის ღირებულების მოგებიდან, ხოლო დანარჩენი მოგებული თანხა გასცა საშემოსავლო გადასახადის დაკავების გარეშე.

### შეფასება

- სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს; სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალდება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის წამახალისებელი გათამაშების, სამორინეს (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), აზარტული კლუბის (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), ლოტოს, ბინგოსა და ლატარიის მომწყობი პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის მოგებას; სსკ-ის მე-20 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება.
- იმის გათვალისწინებით, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, ფიზიკური პირის მიერ ლატარიაში მოგებული 500 ლარი და 700 ლარი საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო აგენტი ვალდებულია შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება, თუ გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება საგადასახადო ვალდებულების შესრულებისგან, საგადასახადო აგენტიც თავისუფლდება აგენტის ვალდებულების შესრულებისგან. შესაბამისად, ლატარიის მომწყობი პირი ვალდებულია საგადასახადო ვალდებულება შეასრულოს გაცემულ მოგებაზე სრულად 1300 ლარზე და დააკავოს კუთვნილი გადასახადი. ამასთან, დასაბეგრი ბაზა- 1300 ლარია და იგი არ მცირდება სსკ-ს 82-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათის (1 000 ლარი) თანხით.

### ღონისძიებები

საწარმოს ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ მოხდება.

## იჯარით აღებული ქონების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეული ხარჯების კაპიტალიზება და ქონების გადასახადის განსაზღვრა N 1431

### ფაქტობრივი გარემოებები

- საწარმომ საქმიანობის დასაწყებად განახორციელა იჯარით აღებული ფართის სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ჩატარებული სამუშაოები წარმოადგენს როგორც ფართის არსებით გაუმჯობესებას, რაც სსკის მე-8 მუხლის 32-ე ნაწილის შესაბამისად განიხილება ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯად, ასევე ფასადის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას: დასუფთავებას, გამწვანებას, გარე განათების უზრუნველყოფას და ა.შ.
- საწარმომ აღნიშნული ხარჯები დაუქვემდებარა კაპიტალიზებას, რომელსაც ქონების გადასახადის გაანგარიშებაში არ ითვალისწინებდა.

### შეფასება

- საგადასახადო კოდექსის: -201 მუხლის პირველი ნაწილის ა.ა) ქვეპუნქტის თანახმად: „ქონების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე“. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16 (იჯარა)-ს დანართი ბ-ს: -ბ43-ე, ბ44-ე პუნქტების თანახმად ზოგიერთი იჯარის დროს შეიძლება აუცილებელი იყოს საიჯარო აქტივის მშენებლობა ან მისი კონსტრუქციის შეცვლა იმისათვის, რომ მოიჯარე გამოიყენოს. თუ მოიჯარე დანახარჯებს გასწევს აქტივის მშენებლობასთან ან დაპროექტებასთან დაკავშირებით, მან ეს დანახარჯები უნდა აღრიცხოს სხვა შესაფერისი სტანდარტების გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად ბასს 16(ძირითადი საშუალებები), ანგ. N2190(იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა). აღნიშნული დანახარჯები არ მოიცავს იმ გადახდებს, რომლებსაც მოიჯარე იხდის საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის.
- საწარმო ვალდებული იყო საიჯარო ქონების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოების კაპიტალიზებული ხარჯები და შესაბამისად შექმნილი ძირითადი საშუალება გაეთვალისწინებინა ქონების გადასახადის გაანგარიშებაში.

### ღონისძიებები

- საგადასახადო წლების მიხედვით საწარმოს დაერიცხება ქონების გადასახადი;
- დეკლარაციაში ქონების გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის საფუძველზე.

# ცვლილებები ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996-ში

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №365

09.10.2023 წელს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანებას დამატა 11<sup>3</sup> მუხლი (საწარმოს პარტნიორთა/მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის წარდგენა) და დანართი №I-071.

აღნიშნული ცვლილების მიხედვით საწარმო არაუგვიანეს ყოველი საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა, ვალდებულია პარტნიორთა/მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს ამ ინსტრუქციის №I-071 დანართის შესაბამისად, ხოლო პარტნიორთა/მონაწილეთა შემადგენლობაში ცვლილების შემთხვევაში ინფორმაცია ინსტრუქციის №I-071 დანართის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს წარუდგინება ცვლილების განხორციელებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი კალენდარული წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა.

ამ მუხლით დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სამეწარმეო საზოგადოებებზე, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირზე, ორგანიზაციაზე (მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციაზე) და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ამხანაგობაზე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლით დადგენილი ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა, თუ პირი, დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, მაგრამ საგადასახადო ორგანოს მიერ უზუსტობის გამოვლენამდე ან ამ მიზნით საგადასახადო კონტროლის ღონისძიების ჩატარების შესახებ შეტყობინების მიღებამდე, წარმოადგენს შესწორებულ ინფორმაციას.“.

**ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.**

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №341

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20.09.2023 წლის N 341 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, რომლის მიხედვით უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან გათანაბრებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ეკისრებათ ვალდებულება დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახონ „დაქირავებულ პირთა რეესტრში“.

ამასთან განხორციელებული ცვლილების მიხედვით საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია ვალდებულია, საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ფიზიკური პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების, გვარის, სახელის, პირადი ნომრის და ანაზღაურების სახის თაობაზე, დანართი №II-12-ის შესაბამისად.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).



# პროექტი

## საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

### კანონპროექტის მიზანი

2023 წლის 27 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი საგადასახადო კოდექსში, კანონპროექტის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსში (შემდგომ- სსკ) არსებული ტერმინოლოგიური და ტექნიკური ხასიათის უზუსტობების აღმოფხვრა, მათ შორის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა და სსკ-ით გათვალისწინებული სასაქონლო კოდექსისა და საქონლის დასახელებების „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2022 წლის რედაქციის ნომენკლატურასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღსანიშნავია, რომ საქართველო 2008 წლიდან წარმოადგენს აღნიშნული კონვენციის წევრ ქვეყანას და აქვს ვალდებულება პერიოდულად განხორციელოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი სასაქონლო ნომენკლატურის განახლება კონვენციის ჰარმონიზებული სისტემის ბოლო რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მოქმედ სსკ-ში არსებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდექსი არ შეესაბამება კონვენციის ბოლო რედაქციას, რამაც შესაძლებელია გარკვეული შეფერხებები შექმნას საგარეო ვაჭრობაში იმ ქვეყნებთან, რომლებიც საგარეო ვაჭრობაში იყენებენ ნომენკლატურის ბოლო რედაქციას.

კანონპროექტის მიღებით მარტივდება გადასახადების ადმინისტრირება, ასევე სსკ-ის დღეს მოქმედი ნორმები შესაბამისობაში მოდის „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ნომენკლატურის 2022 წლის რედაქციასთან. ამასთანავე, აღმოიფხვრება რედაქციული და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და გარკვეული დებულებები შესაბამისობაში მოვა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

### კანონპროექტის ძირითადი არსი

1. კანონპროექტის მიხედვით, რედაქციული ხასიათის ცვლილებები ხორციელდება სსკ-ის მე-4 მუხლის მე-10 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ“ ქვეპუნქტში, 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტში, 153-ე მუხლის<sup>51</sup> ნაწილში, 165<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, 168-ე მუხლის მე-5 ნაწილში და 205-ე მუხლის მე-101 ნაწილში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მათ შორის, დაუსტებთი ხასიათის ცვლილება ხორციელდება სსკ-ის 272-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, საურავის დარიცხვა, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების შემთხვევაში, განხორციელდება მხოლოდ რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულ ვადამოსულ გადასახადულ გადასახადის თანხებთან მიმართებაში.
2. კანონპროექტის მიხედვით სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. აღნიშნული ცვლილება რედაქციული ხასიათისაა. კერძოდ, განისაზღვრა, რომ საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება როგორც მკვეთრად, ასევე მნიშვნელოვნად გამოხატული შუზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში 6000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედი რეგულაცია შესაძლებელია აღქმული იქნეს ისე, რომ საშემოსავლო გადასახადის შეღავათით სარგებლობა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პირს მინიჭებული აქვს ერთდროულად, როგორც მკვეთრად, ასევე, მნიშვნელოვნად გამოხატული შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაშინ როდესაც „შესაძლებლობის შუზღუდვის

სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/5 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქცია ქმედუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით განასხვავებს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს.

3. კანონპროექტის მიხედვით რედაქციული ხასიათის შესწორება შედის სსკ-ის 141-ე მუხლის მე-5 ნაწილში და იგი შესაბამისობაში მოდის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS) გათვალისწინებულ ტერმინოლოგიასთან. გარდა ამისა, მე-5 ნაწილის შემდეგ ემატება პენიშნა, რომლის მიხედვითაც ზუსტდება სესხის განმარტება აღნიშნული ნორმის მიზნისთვის.
4. სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, ან 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მოქმედი რეგულაციებით, მეწარმე ფიზიკური პირის მიერ, სხვა პირისათვის გაწეული მომსახურება ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას, მიუხედავად იმისა, რომ პირს მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი. ამ შემთხვევაში, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონეს პირს უფლება აქვს გადასახადის გადახდის გადაანგარიშების მოთხოვნით წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის ყოველწლიური დეკლარაცია, რაც ზრდის როგორც მცირე მეწარმის, ასევე საგადასახადო ორგანოსადმი ინსტრუქციული რესურსის დანახარჯს. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შედის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში და გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ გავრცელდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ.
5. სსკ-ის 172-ე, 173-ე, 182-ე, 184-ე, 188-ე, 192-ე, 194-ე, 197-ე და 199-ე მუხლებში არსებული, სეს ესნ კოდების „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2022 წლის რედაქციის ნომენკლატურასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მუხლებში ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ამასთანავე, 173-ე მუხლის „შ“ ქვეპუნქტში შედის რედაქციული ხასიათის შესწორება და ტერმინი „იმპორტის გადასახადი“, იცვლება ტერმინით „საბაჟო ვალდებულება“, რითაც აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში მოდის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ ტერმინოლოგიასთან.
6. სსკ-ის 280-ე და 282-ე მუხლების თანახმად, ყალბი ან ფიქტიური/უსაქონლო ოპერაციის ამსახავი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა, აგრეთვე, ასეთი დოკუმენტით დღგ-ის ჩათვლა ექვემდებარება სანქცირებას დღგ-ის შესაბამისი თანხის 200 პროცენტის ოდენობით. ამავ დროს, სსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ფიქტიური/უსაქონლო ოპერაციის შემთხვევაში დღგ-ის ჩათვლის გაუქმებას ითვალისწინებს, არ არეგულირებს ყალბი დოკუმენტით ჩათვლილი დღგ-ის თანხის გაუქმების შემთხვევას. კანონპროექტის მიხედვით, სწორდება აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი და სსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება.
7. სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევებისა, თავისუფლდება 0,05 ლიტრი ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ან 10 ლიტრზე მეტი (გარდა ლუდისა) მოცულობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში ალკოჰოლური სასმელის ზედა ზღვარი მოცემულია მოცულობის (10 ლიტრი), ხოლო ქვედა ზღვარი წონის საზომ ერთეულში (50 გრამი), რაც შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

გარდა აღნიშნულისა, 192-ე მუხლის მე-5 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის შესწორება, ვინაიდან აქციზური მარკის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით ნიშანდებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის რეალიზაცია ან განადგურება ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/346 ბრძანებით დადგენილი წესით და არა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის დადგენილი წესით, როგორც მოქმედ რედაქციაშია მითითებული.

8. 1997 წლის 13 ივნისიდან 2000 წლის 1 იანვრამდე და 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტროენერჯის განაწილების განმახორციელებელი ელექტროენერჯეტიკის საწარმოს დღგ-ის გადახდის ვალდებულება წარმოეშობოდა, მხოლოდ მიწოდებული საქონლის ღირებულების მისთვის ანაზღაურების შემთხვევაში.

სსკ-ის 309-ე მუხლის 86-ე ნაწილი და ამავე მუხლის 87-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ელექტროენერჯის განაწილების განმახორციელებელი ელექტროენერჯეტიკის საწარმოს და პირს, რომლებსაც ეპატია ვალი, 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ელექტროენერჯის მიწოდებიდან წარმოშობილი ვალის მოვალისათვის პატიების შემთხვევაში დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები დღგ-ში და საშემოსავლო გადასახადში არ წარმოეშობათ. ამასთანავე, აღნიშნული დებულება არ ითვალისწინებს ანალოგიურ მიდგომას 1997 წლის 13 ივნისიდან 2000 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე.

კანონპროექტის მიხედვით, სსკ-ის 309-ე მუხლის 86-ე ნაწილის და ამავე მუხლის 87-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით შესაბამის პირებზე გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები, ასევე გავრცელდება 1997 წლის 13 ივნისიდან 2000 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე.

9. კანონპროექტის მიხედვით სსკ-ის 309-ე მუხლს ემატება 142-ე და 143-ე ნაწილები, რომლითაც განისაზღვრება, რომ თუ სადაზღვევო ორგანიზაცია დივიდენდს გაანაწილებს 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. ხოლო აღნიშნული ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება ფორმულით –  $A \times B / (C - D)$ , სადაც: A არის დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობა, B არის 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, C არის 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა, D არის 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ სადაზღვევო ორგანიზაციის აქციების ღირებულება.

შემოთავაზებული ცვლილების მომზადება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სსკ-ის 309-ე მუხლის 94<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, სადაზღვევო ორგანიზაცია მოგების გადასახადით საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრება 2024 წლის 1 იანვრიდან.

შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო ორგანიზაციას მოუწევს აღნიშნული დივიდენდის განაწილების მოგების გადასახადით დაბეგვრა, რაც 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებასთან მიმართებაში, გამოიწვევს ერთი და იგივე შემოსავლის ორჯერ დაბეგვრას. შემოთავაზებული ცვლილება სადაზღვევო ორგანიზაციებს თავიდან აარიდებს ერთი და იგივე შემოსავლის მოგების გადასახადით ორჯერ დაბეგვრას. აღნიშნული მიზნით, ასევე ტექნიკური ხასიათის ცვლილება შედის სსკ-ის 309-ე მუხლის 92-ე ნაწილში.

დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ [ბმულზე](#).

## პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შესახებ

„ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების (ნაწილი I) პირველ პუნქტს 2024 წლის 1 იანვრიდან დაემატება შემდეგი მინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) „პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შესახებ“ №10 დანართის შესაბამისად.“.

„ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების დანართი №5, №6 და დანართი №7 გამოცხადება ძალადაკარგულად 2024 წლის 1 იანვრიდან.

„პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შესახებ“ წინამდებარე მეთოდური მითითება (შემდგომში - მეთოდური მითითება) არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრისას, შესაბამისი საფუძვლების დადგენის და შესაბამისი მეთოდების გამოყენების პრინციპებს.

ამ მეთოდური მითითების მიზანია საგადასახადო შემოწმებისას პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის ერთიანი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა. საგადასახადო შემოწმებისას პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრა გულისხმობს სამეურნეო ოპერაციის დასაბეგრი თანხის ცვლილებას, ამავე სამეურნეო ოპერაციის ფორმის კვალიფიკაციის შეუცვლელად.

დამტკიცებულ მეთოდურ მითითებაში განხილულია არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების ინსტრუქცია თანდართული მაგალითებით.

მეთოდური მითითების სანახავად იხილეთ [ბმული](#).



პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

#### **გელა მდებრიშვილი**

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: [gela.mghebrishvili@nexia.ge](mailto:gela.mghebrishvili@nexia.ge)

#### **დავით მამრიკიშვილი**

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: [david.mamrikishvili@nexia.ge](mailto:david.mamrikishvili@nexia.ge)